



აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური  
რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა

2018 წლის მუშაობის ანგარიში

**წარმომადგენლობის მისია და სტრატეგიული მიმართულებები:**

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ საანგარიშო პერიოდში დასახული მისიის განხორციელების უზრუნველსაყოფად განსაზღვრული იყო შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ხელშეწყობა და დევნილი მოსახლეობის ინფორმირება (კონსულტირება) სტრატეგიით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე;

2. აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილ მოსახლეობასთან სისტემატიური კონტაქტის დამყარება, მათი საყოფაცხოვრებო/სოციალური პირობების შესწავლა/აღწერა შესაბამისი ბაზის შექმნა/განახლება და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და იმ უწყებებთან, რომლებიც ჩართულნი არიან ზემოაღნიშნული საკითხების წარმატებით შესრულებაში, კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა სოციალური დაცვის მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარების გაწევის ორგანიზება;

4. უფლებამოსილების ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევილიის სტატუსის მამიებელი) პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ხელშეწყობა და ამ მიზნით, სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა;

5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევილიის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა და/ან ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურება, ასევე უფლებამოსილების ფარგლებში სხვადასხვა შინაარსის ცნობების გაცემა;

6. აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ დევნილ, წვევამდელი ასაკის მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, წვევამდელთა სამხედრო სავალდებულო და რეზერვისტთა სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა;

7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა;

8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირე და გადაუდებელი სახის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების დაგეგმვა;

9. აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმს გამორიდებულ, აფხაზური ეთნოსის მოსახლეობის სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლა და შესაძლებლობის ფარგლებში მათთვის სამართლებრივი და სხვა სახის დახმარების აღმოჩენა.

#### **წარმომადგენლობის სტრუქტურა:**

წარმომადგენლობის შემადგენლობა განისაზღვრება 48 საშტატო ერთეულით, მათ შორის: ხელმძღვანელი 1 (ერთი) ერთეული, ხელმძღვანელის პირველი მოადგილე 1 (ერთი) ერთეული, ხელმძღვანელის მოადგილე 2 (ორი) ერთეული, სამსახურის უფროსი 6 (ექვსი) ერთეული, სამსახურის უფროსის მოადგილე 4 (ოთხი) ერთეული, ბუღალტერი 1 (ერთი) ერთეული, განყოფილების უფროსი 4 (ოთხი) ერთეული, უფროსი სპეციალისტი 31 (ოცდათერთმეტი) ერთეული და 12 (თორმეტი) შტატგარეშე თანამშრომლით.

წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა, აპარატი, საფინანსო და ბუღალტრული ანგარიშსწორების სამსახური, სოციალური პროგრამების მართვის სამსახური, დევნილებთან ურთიერთობის სამსახური და რეგიონალური მართვის სამსახური განთავსებულია მისამართზე: – ქ. თბილისი, აღმაშენებლის 89/24, მე-13 სართული, ხოლო წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური განთავსებულია მისამართზე: ქ. თბილისი კ. ხეთაგუროვის ქ. №2. წარმომადგენლობას გააჩნია ოფისი ქვემო ქართლის რეგიონში – შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი, ვახუშტის ქ. №8.

**წარმომადგენლობის კადრები მიღებული განათლების (კვალიფიკაციის) შესაბამისად წარმოდგენილია შემდეგნაირად:**

პედაგოგი - 11 ერთეული -22%;  
იურისტი - 11 ერთეული - 22%;  
აგრონომი - 8 ერთეული -16%;  
ეკონომისტი 8 ერთეული - 16 %;  
ინჟინერი 9 ერთეული - 18 %;  
ბუღალტერი - 2 ერთეული - 4 %;  
პოლიტოლოგი 1 ერთეული -2 %

#### **დასაქმებულთა საშუალო ასაკი:**

30-წლამდე - 2 დასაქმებული - 4%;  
30-დან 40-წლამდე - 10 დასაქმებული - 20%;  
40-დან 50-წლამდე - 10 დასაქმებული - 20%;  
50-დან 60-წლამდე - 18 დასაქმებული - 36%;  
60-დან 65-წლამდე - 10 დასაქმებული - 20 %

**საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობის სტრუქტურული ერთეულების მიერ შესრულებული სამუშაო:**

ა) აპარატი:

ა.ა) შემოსულია 1809 წერილი;

ა.ბ) გასულია - 1168 წერილი.

ა.გ) შიდა - 438.

აპარატის მიერ განხორციელებულ იქნა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან, ორგანიზაციებიდან და მოქალაქეებისაგან შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვა, დახარისხება და ადრესატებისათვის მიწოდება, ასევე, შესრულებული კორესპონდენციის დანიშნულებისამებრ გადაგზავნა და მათი შესრულების კონტროლი.

### **ა.ა) აპარატის იურიდიული კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილება:**

საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ, შემუშავებული/მონაწილეობა იქნა მიღებული იქნა წარმომადგენლობის უფლებამოსილებიდან გამომდინარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებების პროექტების შემუშავებაში, ასევე, წარმომადგენლობის უფლებამოსილებიდან გამომდინარე, სხვადასხვა საკითხებზე მომზადდა ხელმძღვანელის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის - ბრძანების პროექტები, შეწავლილ იქნა პირადი კორესპონდენცია და მომზადებულ იქნა პასუხის პროექტები.

საანგარიშო პერიოდში, განყოფილების მიერ უზრუნველყოფილ იქნა მესამე სასამართლო შეტყობინებებზე რეაგირება და კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებული წარმოების მასალების სასამართლოსათვის მიწოდება/განმარტებების გაკეთება.

განყოფილების უფროსმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დროებითი საექსპერტო ჯგუფში „საცხოვრებელი ფართების განაწილების მექანიზმების დახვეწა“, სადაც განხილულ იქნა, არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში (აპლიკაციის შევსების პერიოდულობა, გაკეთებული განაცხადების დაკმაყოფილების რიგითობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 320-ე ბრძანებაში ცვლილებების შეტანის ინიციატივების განხილვა და შეფასება). განყოფილების მიერ შესწავლილ და შეფასებულ იქნა (განხორციელდა შესაბამისი აქტივობები) საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონით გათვალისწინებული სიახლეები და განხორციელდა რიგი კანონით გაწერილი სიახლეების დანერგვა, კერძოდ შეფასების სისტემის ამოქმედება, რომლის პროცესში კონსულტირება გაეწია სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილში.

აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ არაერთ მოქალაქეს გაეწია სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით (სტაჟის დადგენა, პირადობის მოწმობის აღება, მოქალაქეობის მიღება/აღდგენა, დევნილის სტატუსის მინიჭება/აღდგენა, ქონების რეგისტრაცია, მიწის ლეგალიზება და სხვა). განყოფილების მიერ, ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, განსაზღვრულ იქნა სტაჟიორთა კვოტა და პროფილი წარმომადგენლობის სტრუქტურულ ერთეულებში არსებული საჭიროებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით და უზრუნველყოფილ იქნა მათი განაწილების (სტაჟირების გავლის) პროცედურები. განყოფილების სტაჟიორს ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში ჩაუტარდა თეორიული სწავლება და პრაქტიკული მუშაობა.

წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურთან ერთობლივად, მომზადდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები კონკრეტულ წვევამდელებთან მიმართებით წვევამდელთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდისაგან თავის არიდების შემთხვევაში განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც წარედგინა ხელმძღვანელს (გამოიცა აღნიშნული მექანიზმის მარეგულირებელი (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი) ინდივიდუალურ, სამართლებრივი სახის აქტი. უზრუნველყოფილი იქნა წარმომადგენლობის სარგებლობაში არსებული ფართის ფლობის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა.

განყოფილება წარმოდგენილი იყო წარმომადგენლობაში შექმნილ სხვადასხვა სახის კომისიებში.

**ა.ბ) აპარატის დევნილთა აღრიცხვისა და ანალიტიკური განყოფილების მიერ** საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის, წვევამდელებისა და რეზერვისტების, სოციალურად დაუცველი ფენის (მარტოხელები, ობოლი ბავშვები, ომის ინვალიდები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ოჯახის წევრები, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, მრავალშვილიანი ოჯახები) შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზის პერიოდულ განახლება, ასევე, „დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემი კომისიაზე“ შემოსულ განაცხადებთან კატეგორიების მიხედვით დახარისხების ხელშეწყობა.

## ბ) წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური:

- აყვანილია აღრიცხვაზე - 75
- მოხსნილია აღრიცხვიდან -68
- გაიცა რეზერვისტის დროებითი მოწმობა - 108

### წვევამდელები:

- აყვანილია აღრიცხვაზე – 523 წვევამდელი.
- მოხსნილია აღრიცხვიდან - 527 წვევამდელი.

### მათ შორის:

- გაყვანილია სამედიცინო კომისიის გასავლელად ცენტრალურ შემკრებ- გამანაწილებელ პუნქტზე - 223 წვევამდელი.
- გაწვეულია სავალდებულო სამხედრო სამსახურში **83** წვევამდელი.

### აქედან:

- შინაგან საქმეთა სამინისტროში– 25 წვევამდელი.
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში 14- წვევამდელი.
- თავდაცვის სამინისტროს ხაზით - **15** წვევამდელი.

ალტერნატიულ სამხედრო სამსახურში- 5 წვევამდელი.

შს დაცვის პოლიციაში-18 წვევამდელი.

ჩაუტარდა გაწვევა თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში (საკონტრაქტო პროფესიულ სამსახური)-6 წვევამდელი.

გადაირიცხა რეზერვში ზღვრული ასაკით - 400 წვევამდელი.

სხვადასხვა მიზეზით-4

ნასამართლევი-11

გადაიგზავნა სხვა რაიონში- 11

სდსს-10

შსს-4

სუს-1

გარდაცვლილი-3

გადაიხადა მოსაკრებელი 7 წვევამდელმა.

- გაიცა წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა – 410 ც.

-საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესიის “ბიბლიური თავისუფლებების“ მღვდელმსახურობის წოდება მიენიჭა-163 წვევამდელს.

- გადაეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტს დროებითი საცხოვრებელი ადგილის და საზღვრის კვეთის დადგენის მიზნით წვევამდელის 440 სახელობითი სია.

ამასთან ერთად გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის ა/რ პოლიციის დეპარტამენტს 56 წვევამდელის სია, რომელნიც არ ცხადდებიან სამხედრო სამსახურში და შეგნებულად იგნორირებას უკეთებენ, როგორც ჩვენს მოთხოვნას, ასევე პოლიციის არაერთ გაფრთხილებას კანონის დაცვის შესახებ.

გადაეცა სასამართლოს შემდგომი რეაგირებისთვის 4 წვევამდელის საქმე.

ჩატარდა გამწვევი კომისიის 47 სხდომა. განხილული იქნა საქართველოს კანონის სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ, (მუხლი 21, მუხლი 29, მუხლი 30-ის შესაბამისად სხვადასხვა სახის გადაწყვეტილება 1093 წვევამდელზე.

სამსახურში სხვადასხვა ორგანიზაციებიდან (თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო) შემოვიდა 905 წერილი, რომლებზედაც მოხდენილია შესაბამისი რეაგირება.

### გ) რეგიონალური მართვისა და სოციალური პროგრამების მართვის სამსახური

ორივე სამსახური დებულებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებას ანხორციელებს ურთიერთშეთანხმებულად, დაგეგმილ ღონისძიებებში, მიმდინარე დავალებების შესრულებაში ხელმძღვანელობისა და სპეციალისტების ერთობლივი მონაწილეობით.

საანგარიშო პერიოდში, რიგ შემთხვევებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის და მუნიციპალიტეტების თანამშრომლებთან ერთობლივად, ადგილებზე გასვლით, ვსწავლობდით რა დევნილთა სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობას და საყოფაცხოვრებო პირობებს, ვებმარებოდით მათ პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში, ვშუამდგომლობდით ადგილობრივი თვითმმართველობის თუ ზემდგომი უწყებების წინაშე სხვადასხვა სასიცოცხლო და მნიშვნელოვანი პრობლემების, სოციალური მდგომარეობის, ჯანმრთელობის დაცვის და ა.შ. მოგვარების მიზნით. შესწავლის პროცესში ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო საცხოვრებელი შენობების ტექნიკურ მახასიათებლებზე, საცხოვრებლად ვარგისიანობაზე, მათ პრივატიზაციაზე, პრივატიზებული ბინების რაოდენობაზე, საერთო ფართზე, გაზიფიცირებაზე, ელექტრომრიცხველების განმხოლოებაზე, პრივატიზებულ საცხოვრებლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნაზე და იმ პრობლემურ და საყოფაცხოვრებოდ მნიშვნელოვან საკითხებზე რომლებსაც მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში სამართლიანად აყენებს უწყებების წინაშე. შესწავლის პროცესში ვარჩევდით საცხოვრებელ ობიექტებს მათთვის მცირე სარემონტო/ადდგენითი სამუშაოების განხორციელების ჩასატარებლად წარმომადგენლობის ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში. ასევე აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდით დევნილთა საცხოვრებელი ფართების თვითნებურად დაკავებისა და რიგ შემთხვევებში მათი გამოსახლების კანონიერების დადგენაში.

2018 წლის მდგომარეობით, დადგინდა რომ დაკავებული საცხოვრებელი ფართები პრივატიზებული აქვს **53 000** ოჯახს (21200 სული), სოფლად სახლის პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილებულია **1100** ოჯახი (7000 სული).

მცირე სარემონტო-ადდგენითი სამუშაოები ჩატარდა **25** დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ობიექტს, სამუშაოები გაგრძელდება 2019 წელსაც ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებათა ფარგლებში.

წარმომადგენლობის სპეციალისტებისა და ქ. თბილისის ჩუბინაშვილის ქ. N30-ში განსახლებულ დევნილთა ერთობლივი მუშაობით ჩამოყალიბდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, რომლის შექმნისა

და შემდგომში შუამდგომლობების მომზადების თაობაზე, რომელიც შეეხებოდა დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას განცხადებით მოგვმართა მოსახლეობამ. მათ მიერ დაყენებული პრობლემურ საკითხთა ნაწილი გადაწყდა, ნაწილი კი გადასაწყვეტია, კერძოდ დაკავებული ფართების დაკანონება, აღნიშნულ საკითხზე მუშაობა გაგრძელდება 2019 წელსაც. ჩასახლებებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა იქნება პრიორიტეტული მიმართულება 2019 წლის განმავლობაშიც.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დავალების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობებიდან (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გამგეობები, აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონების მერიები) ოფიციალურად გამოვითხოვეთ ინფორმაციები დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ობიექტებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნისა და მათ მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ათივე გამგეობიდან და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონების ყველა თვითმმართველობიდან, მივიღეთ საკმაოდ ამომწურავი პასუხები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. მოწოდებული ინფორმაციის გაანალიზების შემდგომ შევდივართ ყველა პრივატიზებულ საცხოვრებლებში, როგორც ქალაქ თბილისში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში, რათა ხელი შევუწყოთ და ქმედითი დახმარება აღმოვუჩინოთ მოსახლეობას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნაში, პარალელურად ვსწავლობთ აქ განსახლებულ დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, საცხოვრებელი შენობების ტექნიკურ მახასიათებლებს. მონაწილეობა მივიღეთ ტრენინგში „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების (ბმა) შექმნისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები“, რომელიც ჩატარდა ქ. ზუგდიდში. ქ. ბორჯომში, შ.რუსთვალის ქ. N107, „მთის ხეობა“, გ. ხანძთელის ქ. N30 შპს „ბორჯომის სამკურნალო საწარმოო გაერთიანება“, ვაშლოვანის ქ. N2 „ყოფილი სამშობიარო“, ვაშლოვანის ქ. N4 „ყოფილი სამშობიაროს შენობა N2“, გორსა და გორის შემოგარენში განსახლებულ დევნილთა ჩასახლებებში. ყველა ეს ღონისძიება განხორციელდა ლტოლვილთა დანიის საბჭოს ეგიდით, ღვისდღესობით ჩვენი უშუალო ჩარევის შედეგად ქ. თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში შექმნილია 100-მდე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა. წარმომადგენლობაში შეხვდრახე ვიწვევთ შექმნილი ამხანაგობების თავმჯდომარეებს, სადაც იგეგმება ღონისძიებები დევნილთა ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით. მომავალში იგეგმება სამუშაოების გაძლიერება ამ კუთხით და ეს მიმართულება იქნება ერთ-ერთი ძირითადი სამუშაო წლის განმავლობაში. საკითხი დადებითად და ოპერატიულად გადაწყვეტის პროცესში თავი იჩინა ფინანსურმა პრობლემებმა, კერძოდ, ცნობილია ამხანაგობების დარეგისტრირება დაკავშირებულია ფულად თანხებთან 200-დან 300 ლარამდე, რომლის მოძიებაც ამხანაგობის თავმჯდომარეებს უჭირთ. საკითხის დარეგულირების მიზნით თანამშრომლობა გაგრძელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტთან.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მივიღეთ მ/წლის 9-10 იანვრის ღამეს სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციაში, მძლავრმა ქარიშხალმა სახურავი გადახადა ვაზიანის დასახლებაში და ხაშურში სანატ. „სურამი“-ს დევნილთა საცხოვრებელ კორპუსებს, აღდგენითი სამუშაოები დასრულდა 2-3 დღეში. სამხედრო ქალაქ ვაზიანის ტერიტორიაზე განსახლებული დევნილები გამოთქვამენ ერთგვარ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ არ უმტკიცდებათ საცხოვრებელი ფართები. უკვე დასახლებას არ ემსახურება მუნიციპალური ტრანსპორტი-სამარშრუტო ტაქსი, ავტობუსი. აღნიშნული საკითხების მოგვარების მიზნით, მოსახლეობამ კოლექტიური განცხადებით მიმართა სამხარეო ადმინისტრაციას, დევნილთა სამინისტროსა და აფხაზეთის ა/რ მთავრობას. ყველა ჩამოთვლილი უწყება გავაგრძელებთ მუშაობას 2019 წელსაც პრობლემის საბოლოოდ მოგვარებამდე.

წარმომადგენლობის ხელმძღვანელობისა და შესაბამისი სამსახურების მიერ დადებითად გადაწყდა ქ. ბორჯომში, სოფელ ვაშლოვანაში, საავადმყოფოს შენობაში შესახლებულ დევნილთა კოლექტიურ განცხადებაში მოყვანილი ხარვეზების აღმოფხვრის საკითხი, რომელიც შეეხებოდა ახლადგარემონტებული შენობის სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოების არასრულფასოვნებას. აღნიშნულის გადაწყვეტაში მხარი დაგვიჭირა ქ. ბორჯომის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელობამ, პრობლემა გამოიწვია წყალმომარაგების სისტემის მწყობრიდან გამოსვლამ-ექსპლოატაციაში გაშვების თანავე, შედეგად ჩაირეცხა კედლები, ჩამოცვივდა ბათქაში. დღეისათვის აღდგენითი სამუშაოები შესრულებულია. ამ მიმართულებით მოსახლეობის მოთხოვნა, რომელსაც ისინი აყენებდნენ აფხაზეთის ა/რ მთავრობის წინაშე მოიხსნა, მაგრამ თავი იჩინა ახალმა ხარვეზმა, რაც გამოიხატა შენობის წყალმომარაგების სათაო ნაგებობის დაზიანებაში და სასმელ წყალში ანტისანიტარული ნარჩენების მოხვედრის საშიშროებაში. ჩვენი სპეციალისტების და ბორჯომის წყალმომარაგების კომპანიასთან ურთიერთთანამშრომლობით გადაწყვეტილებით აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრა, წარმომადგენლობის მიერ გამოყოფილი მცირე-სარემონტო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხებით.

წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა და შესაბამისი სამსახურები აქტიურად არიან ჩართული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უფასო სამედიცინო გამოკვლევის (პირველადი მოთხოვნების მედიკამენტების უსასყიდლოდ გადაცემა) პროგრამის განხორციელებაში, კერძოდ, ჩატარდა აქცია ქ. ბორჯომში, ქ. ახალციხეში, ქ. თელავში, ქ. გურჯაანში. ქ. რუსთავში, ქ. ხაშურში, ქ. თეთრიწყაროში. სულ 1000-მდე ბენეფიციარს გაეწია სამედიცინო მომსახურება. ორს კი გადაეცა ინვალიდის ეტლი უსასყიდლოდ. მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები დევნილთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის კუთხით.

აქტიური მონაწილეობა მივიღეთ წიგნის „მომავლისათვის მარადისობაში“ გამოსაცემად მასალების მოგროვებაში, ჩვენს მიერ მოძიებულ იქნა საბრძოლო მოკვლევა შესაბამისი სურათებით 365 ომში დაღუპულ მამულიშვილზე, ასევე მოძიებულ იქნა წინა გამოცემაში გამორჩენილი სურათები 55 მებრძოლზე.

შინაარსიანი და ბავშვებისათვის სასიხარულო, საზეიმო განწყობის შემქმნელი გამოდგა ქ. რუსთავის მერიის მიერ დაფინანსებული სპექტაკლი „კონკია“, რომლის წარმოდგენაზე დაესწრო 85 დევნილი ბავშვი, რომელთაც ასევე გადაეცათ საჩუქრები. აღნიშნული ღონისძიება ორგანიზებული იყო წარმომადგენლობის ქვემო ქართლისა და კახეთის განყოფილების მიერ. იგივე სპექტაკლი წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისში თეატრ „თეთრი ტალღას“ მიერ. ორგანიზება გაუწიეთ წინასაახალწლო დღეებში 100-მდე დევნილი ბავშვის დასწრებას, მათვე გადაეცათ საჩუქრები. წარმომადგენლობის ინიციატივითა და ორგანიზებით თბილისის სახელმწიფო თოჯინების თეატრმა დევნილი ბავშვებისათვის გამართა ორი საქველმოქმედო წარმოდგენა ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სპექტაკლს დაესწრო 60-მდე მოზარდი მშობლებთან ერთად. ასევე ორგანიზებული იქნა 200-მდე დევნილი ბავშვის დასწრება ანსამბლ „გვირილა“-ს კონცერტზე, რომელიც ჩატარდა მთაწმინდის პარკში, 350 დევნილის დასწრება აფხაზეთის სიმრერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტზე, რომელიც ჩატარდა თბილისის საკონცერტო დარბაზში.

საანგარიშო პერიოდში 55 (ორმოცდათხუთმეტი) დევნილს გაეწია კონსულტაცია სახელმწიფოს მიერ მათ შესახებ შემუშავებული პროგრამებისა და სტრატეგიის ფარგლებში. არაერთ სტუდენტს გაეწია შუამდგომლობა სწავლის (სტუდენტის სტატუსის) აღდგენის, საფასურის ეტაპობრივი გადახდის, გადანაწილებისა და სხვა მათ წინაშე მდგომი პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლად დევნილთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით 41 (ორმოცდაერთი) დევნილს (დევნილთა ჯგუფს) გაეწია სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის კონსულტაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის, მათი ორგანიზების, ზოგადად



სოფლის მეურნეობის სფეროსა და „აწარმოე საქართველოში“; „დანერგე მომავალი“ პროგრამებით სარგებლობასთან დაკავშირებით როგორც ქ. თბილისში, ასევე, ბორჯომში, ახალციხეში, გორში, ხაშურში, თელავში, გურჯაანში, ბოლნისში და გარდაბანში. მივაწოდეთ წინადადებები აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ.

ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის რეგიონებში ყოფნისას, აქ განსახლებული დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესწავლასთან ერთად იგპ-ებს ადგილზე შევავსებინეთ განცხადებები ერთჯერადი ფულადი დახმარების მიღების თაობაზე სოციალური კატეგორიების მიხედვით, დღეისათვის მათი აბსოლიტური უმრავლესობა დაკმაყოფილებულია, ანალოგიური მიდგომები გაგრძელდება 2019 წელსაც.

მიმდინარე წლის 16 მარტს მონაწილეობა მივიღეთ არტილერიის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში, აფხაზეთის ა/რ სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად გვირგვინით შევამკეთ გმირთა მემორიალი. ორგანიზება გაუწიეთ ომის ვეტერანებისა და დევნილი მოსახლეობის ორგანიზებულ დასწრებას ამ დღისადმი მიძღვნილ კინო ჩვენებაზე, რომელიც ჩატარდა კინო სახლში. ასევე გვირგვინით შევამკეთ ეროვნული გმირის ყიული შარტავას ძეგლი ქ. რუსთავში 2018 წლის 7 მარტს. სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით ორგანიზება გავუწიეთ დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისს და მასზე დევნილი მოსახლეობის დასწრებას ქ. თბილისში, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, ქ. გარდაბანში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში, ქ. ბორჯომში წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში. ასევე, გვირგვინით შევამკეთ ეროვნული გმირის ყიული შარტავას ძეგლი ქ. რუსთავში, აქვე გაიხსნა გმირის სახელობის სკვერი. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ ვეტერანთა სამსახურის მიერ ორგანიზებულ სამაგიდო თამაშებში - ჭადრაკი, ნარდი.

მონაწილეობა მივიღეთ და ორგანიზება გავუწიეთ დევნილი მოსახლეობის დასწრებას სხვადასხვა სპორტულ თუ კულტურულ მასობრივ ღონისძიებებზე. როგორებიცაა საკალათბურთო გუნდი „სოხუმი“-ის მიერ ჩატარებულ მატჩებზე. ასევე სოხუმის გამზირის გახსნაზე, სპექტაკლზე, რომელიც გაიმართა „გრიბოედოვის“ სახელობის სახ. თეატრში, აფხაზეთიდან დევნილი, გამოჩენილი ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოებაზე 9 აპრილისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობა მივიღეთ დევნილი მოსახლეობის ჩართულობით, კონფერენციაში „ოკუპირებული აფხაზეთის „სოციალურ-ეკონომიკური“ მდგომარეობა და პრობლემები, სამეცნიერო კონფერენციაში „კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ ტერიტორიებზე“. წარმომადგენლობის თანამშრომლებმა მონაწილეობა მივიღეთ ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში, მცირე სამუშაო ჯგუფები ყოველკვირეულად ვაწარმოებთ სხვადასხვა სახის სამუშაოებს. მონაწილეობა მივიღეთ აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების სულის მოსახსენიებელ პარაკლისში, რომელიც აღევლინება ყოველი თვის ბოლო შაბათ დღეს მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

აქტიური მონაწილეობა მივიღეთ, ვეტერანის დღესთან დაკავშირებული, გმირთა მემორიალის დეკორატიული მცენარეების დარგვა-გამწვანებაში ქ. რუსთავში, ასევე, ვეტერანთა დღისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტისა და მასზე ვეტერანთა დასწრების ორგანიზებაში. მე-2 მსოფლიო ომში გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ფულადი თანხები გადავეცით ომის მონაწილეს, ასევე ორგანიზება გაუწიეთ მათთვის აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ გამოყოფილი საჩუქრების გადაცემას ადგილებზე.

დევნილთა დასწრების ორგანიზაციული უზრუნველყოფა გაუწიეთ შეხვედრას დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, რომელიც ჩატარდა საქართველოს ომისა და სამხედრო ზალების ვეტერანთა კავშირ „სამშობლო-ს“ მიერ. აღდგომის სადღესასწაულო დღეებში, ორგანიზება გავუწიეთ 400-მდე ბენეფიციარის ჩართულობას საადღგომო



და საახალწლო (სოციალურად დაუცველი კატეგორიების მიხედვით) ნობათის მიღებაში, რომელიც ჩატარდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის უშუალო ინიციატივით.

ყველა ღონისძიებისა და თავყრილობის გვირგვინს წარმოადგენდა აფხაზეთის დღეები, რომელიც მიმდინარეობდა 3 დღის მანძილზე, თბილისის საკონცერტო დარბაზში, შ. რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, პარაკლისი გადახდილ იქნა სიონის საკათედრო ტაძარში. აღნიშნულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდით და ორგანიზებას ვუწევდით დევნილი მოსახლეობის ჩართულობას.

### ე) დევნილებთან ურთიერთობის სამსახური

**2018 წლის 1 იანვრიდან – 31 დეკემბრის** ჩათვლით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიაზე (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მამიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის თაობაზე) **სულ შემოვიდა 382 განცხადება. აქედან 319 მოქალაქის** პირადი განცხადებაა, მათ შორის აფხაზეთის ა/რ ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ მოქალაქეთა(განმცხადებელთა) რაოდენობაა **80(ოთხმოცი), აქედან 75 - მოგვმართა კომისიას პირადად 5 სსგს-ს წერილის სახით. 40 წერილი** საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურიდან. ლტოვილთა და გასნახლების სამინისტროდან **23 წერილი.**

**გაცემულია 374 კომისიის გადაწყვეტილება, მათ შორის 322 დადებითი, 52 უარყოფითი. ადმინისტრაციულ წარმოებაშია 4 განცხადება, დამატებითი შესწავლისთვის.**

დადებითად გაცემული დასკვნების სტატისტიკა შემდეგია:

საცხოვრებელი ადგილი დაუდგინდა პირველადი მოწმობის მისაღებად **165(ას სამოცდახუთი)** განმცხადებელს.

რეგისტრაციის მისამართი შეეცვალა **144(ასორმოცდაოთხი),** დაბადების იურიდიული ფაქტის დასადგენად გაიცა **13 დასკვნა.**

რაიონების მიხედვით შემოსულ განცხადებათა რაოდენობა:

1. ქ. გაგრა	-	34
2. გუდაუთის რაიონი	-	14
3. ქ. სოხუმი	-	66
4. სოხუმის რაიონი	-	18
5. გულრიფშის რაიონი	-	34
6. ოჩამჩირის რაიონი	-	58
7. გალის რაიონი	-	45
8. ქ. ტყავრჩელი	-	13

განმცხადებელთა რაოდენო ეროვნების მიხედვით შემდეგია:

1. ქართველი	-	311
2. აფხაზი	-	57
3. სომეხი	-	3
4. უკრაინელი	-	2

5. ბერძენი	-	2
6. ეზიდი	-	1
7. რუსი	-	6

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან აღნიშნული პერიოდისათვის შემოსულია **39 წერილი (46 - ბენეფიციარზე)** მათი აფხაზეთში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადასტურების მიზნით.

კომისიის მიერ პასუხი გაეცა **39 წერილს(46 - ბენეფიციარი)**, რაც შეადგენს მთლიანი სამუშაოს **100%**.

შემოსული წერილების რაოდენობა რაიონების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

1. ქ. გაგრა	-	9
2. გუდაუთის რაიონი	-	3
3. ქ. სოხუმი	-	5
4. სოხუმის რაიონი	-	5
5. გულრიფშის რაიონი	-	9
6. ოჩამჩირის რაიონი	-	4
7. გალის რაიონი	-	4
8. ქ. ტყვარჩელი	-	0

აფხაზეთის ა/რ რაიონებისა და ქალაქების მიხედვით აღნიშნულ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში ჩასახლებულ დევნილებზე გაცემულ ცნობათა შინაარსი შემდეგნაირად გამოიყურება: მუდმივი და დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით(სხვადასხვა იურიდიული ფაქტის დასადგენად - სასამართლოში); მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრების წლების მითითებით(დევნილის სტატუსის დასადგენად - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში წარსადგენად, აგრეთვე სრს აფხაზეთის სააგენტოში საქართველოს მოქალაქეობის დასადგენად); ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ(წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში წარსადგენად).

**სულ გაცემულ ცნობათა რაოდენობა არის - 989**

აფხაზეთის ა/რ რაიონებისა და ქალაქების მიხედვით აღნიშნულ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში ჩასახლებულ დევნილებზე გაცემულ ცნობათა რაოდენობა:

1. ქ. გაგრა	- სულ გაიცა	-	92	ცნობა
2. გუდაუთის რაიონი	-- სულ გაიცა	-	41	ცნობა
3. ქ. სოხუმი	-- სულ გაიცა	-	252	ცნობა
4. სოხუმის რაიონი	- სულ გაიცა	-	59	ცნობა

5. გულრიფშის რაიონი	- სულ გაიცა	-	178	ცნობა
6. ოჩამჩირის რაიონი	-- სულ გაიცა	-	151	ცნობა
7. ქ. ტყვარჩელი	-- სულ გაიცა	-	31	ცნობა
8. გალის რაიონი	-- სულ გაიცა	-	185	ცნობა

გ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გამცემი კომისიის” მიერ „აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული წესის საფუძველზე და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესაბამისად, სოციალურად დაუცველ დევნილ მოქალაქეებზე/ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევის მიზნით, გაცემულ იქნა **278850** ლარი (იხილეთ დანართი N1).

ზ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის განმსაზღვრელი სამუშაოების ჩამტარებული კომისიის” მიერ დაიგეგმა და ჩატარდა **19654,51** ლარის ღირებულების შესაბამისი სამუშაოები დევნილთა ჩასახლების 25 (ოცდახუთი) ობიექტში.

#### 2019 წლის ძირითადი სამუშაო მიმართულებები:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირებზე (სტატუსის მაძიებელი) საცხოვრებელი ადგილის თაობაზე დასკვნის/ცნობების გაცემა, საელჩოებთან და საკონსულოებთან მჭიდრო სამსახურეობრივი ურთიერთობის დამყარება;

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა;

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირე და გადაუდებელი სახის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარება;

4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულობა;

5. აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ჯანდაცვის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში, დასაქმებაში, განათლების მიღებისათვის ფართო შესაძლებლობების შექმნაში, კულტურული მემკვიდრეობისა და თვითშეგნების ხელეწყობა-პოპულარიზაციაში, სახალხო დიპლომატიის შემდგომ განვითარებაში აქტიური ხელშეწყობა;

6. კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში განსახლებულ აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა და შესაძლებლობის ფარგლებში მათი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიაზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემის ორგანიზება;

8. დევნილ მოსახლეობასთან ყოველდღიური კონტაქტის დამყარება, მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეების ადგილზე გაცნობა, სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციების გაწევა;

9. აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში სახელმწიფოს მიერ პრივატიზებულ საცხოვრებელ ფართებში ტექნიკური მდგომარეობისა და დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესწავლა, შესაბამისი ინფორმაციის დამუშავება და მათი პერიოდული განახლება;

10. აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოქალაქეების სამხედრო-სავალდებულო და სამხედრო-სარეზერვო სამსახურში გაწვევის დაგეგმვა და მისი წარმატებით განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

11. საქართველოს ცენტრალურ სტრუქტურებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება, აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში მცხოვრები დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, კონკრეტული პროექტების შემუშავება და წარმატებით განხორციელება;

12. აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმს გამორიდებულ მოქალაქეთა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციების გაწევა.